# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 55 | კვირა, 25 აგვისტო 1902 წ. | გაზეთის № 1906.



# ღამის რაინდები

ოქტავ მირბოსი

(ფრანგულით)

გულიძილში ვიყავ. ვიღამაც ჩემის სადგომის კარებს საშინელი ბრაგუნი აუტეხა და უცბად გამომეღვიძა. ვერ მიმხვდარიყავ, ვინ უნდა ყოფილიყო. მოვუკიდე სანთელს და თან დამბაჩა გავშინჯე, ხომ გატენილია-მეთქი. კედლის საათზე ხუთი იყო. ფაცა ფუცით ჩაცმას შევუდექი, ოთახის კარებს ხელახლად დაუშინეს. ასე გეგონებოდათ სამხედრო ლომით გარშემორტყმულ ქალაქის კედლებს ამტვრევენო. გული გავიმაგრე და თამამად კარისაკენ გავემართე, კარების ჩალეწვას ცოტა-ღა უკლდა. თამამადვე (მშიშარი არ გეგონოთ) დავეკითხე:

— ვინა ხართ!

უცნაური, განგებ გამოცვლილი, ჩახლეჩილი ხმა მომესმა

— თქვენს ფეხებს ბებერა უნდა ამოვაცალოთ!..

— რაო?.. — წამოვიძახე გაალმასებულმა... — რა დროს ბებერაა ამ შუაღამისას! ხომ არ გაგიჟებულხართ!.. ან ეს აურზაური რაღა არის?

— მაპატიევთ, ბატონო, დღეს სპულერს წვეულება აქვს და იმდენი დრო არა მაქვს, რომ ერთს დღეს ყველასთან მოვასწრო....

სიფრთხილე მმართებდა. ჩემს დღეში არ მიხმია ბებერას ექიმი. საშინლად გამიოცდა. ნუ თუ მართლა ვიხმე-მეთქი?

ვნახე, მაგრამ რა ვნახე!.. ერთი აყლაყუდა, ბაყბაყ-მდევის მსგავსი, სქელ-ულვაშებიანი არსება ჩემს ოთახში შემოგორდა უკანაც ექვსი კაცი სხვა მოსდევდა. ზურგზე ბარგის საზიდი თასმები ჰქონდა ყველას.

— არიქათ, ქურდები-მეთქი! — წამოვიყვირე გაალმასებულმა. ბრაზმა დამახრჩო ასე როგორ მოვტყუვდი-მეთქი!

დაცინვით სალამი მომცა. მერე უშველებელი ჯოხი კედლისაკენ დაატრიალა, წამოსდო რაღაც ტილოს და გაფხრიწა, წამოსდო კუთხის მაგიდასაც და ზედ მდგარი პატარა ქანდაკება ნამსხვრევებათ აქცია. ბოლოს მითხრა:

— არა, ქურდები არა ვართ! მე პოლიციის ბოქაული გახლავართ და თქვენთან გიახელით, რომ სახლი გაგიჩხრიკოთ.

— რაო? სახლი უნდა გამიჩხრიკოთ? ჩემი სახლი? მგონი გაგიჟდით... რომელ უფლების ძალით, არ მეტყვით?

დიდულვაშამ საშინლად გადიხარხარა. მისმა ლაშებიანმა თანაშემწეებმა ულვაშებში ჩაიცინეს.

— რომელ უფლების ძალით?... ჰ, უფლება! რეინალს, ლეპინს*) და მე, ჩემო კარგო, უფლება ფეხებზე გვკიდია!..

ხელებ მოკუმშულმა, ულვაშებ აბურძგნულმა ერთბაშად ჩემსკენ მოიწია და, არყისა და ნივრის სუნით გაჟღენთილმა, ცხვირპირში მომაძახა:

— იმ უფლებით, ავაზაკო, რა უფლებითაც რეილანი ლეპინი და მე ვაწიოკებთ როცა გვინდა და ვინც გვინდა. ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს!.. თქვენის ლაპარაკით ფონს ვერ გახვალთ .. გაგვიძეხით და თქვენი წიგნები გვაჩვენეთ...

წინააღმდეგობის გაწევა მეტად ჩავთვალე... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემის სახლის გაჩხრეკა მეტის მეტ მასხარობად



ავქსენტი ცაგარელი კუბოში

იქნება, გულმავიწყობით მომივიდა-მეთქი. თან ისიც უნდა ვსთქვა, რომ ისევ ბურანში ვიყავ, კარგად ვერ გამოვრკვეულიყავ. კარი გავაღე.

მეჩვენა. ისეთი არაფერი მქონდა, რომ ჩემის სტუმრისათვის ხელჩასაჭიდი ყოფილიყო და ხალისით დავემორჩილე. გულში

*) ლეპინი პარიზის პოლიციის პრეფექტია:

## კონგრეგაციების სკოლების დაკეტვა საფრანგეთში



კლერიკალების მიერ კონგრეგ. სკოლების დაცვა



კონგრეგ. სკოლებიდან მონოზნების გამოყვანა

კი მიხაროდა, რომ ასეთი ადრიანი და აბეზარი სტუმრები პირ-ჩალა გამოვლებულები დაბრუნდებიან-მეთქი.

— ბატონი ბრძანდებით... წამობრძანდით, ნახეთ, რაცა მაქვს!..

საწიგნე ოთახში შევიდა თუ არა, ბოქაულმა ხელების ფშვნეტა დაიწყო,—ეტყობოდა, იამა. თვალი მოავლო ჩემს წიგნებს, ჩემს საყვარელ წიგნებს, დიდის და გულმოდგინებით დაწყობილებს, და დაიბურდღუნა.

— აჰა, აჰა, ისევ რევოლუციის ჯურღმულში ამოვყავით თავი!... ანარქიის მორევში!.. დედასა! . გასართობი კი არ მოგვაკლდება ამ ოთახში!... მთელი ლიტერატურაა! ერთბაშად ყველას ვერც კი წავიღებთ!

მოუბრუნდა თანაშემწეებს და უბრძანა:

— გაალეთ ყველა განჯინები!..

მაგრამ თავიანთის ტლანქ ხელებით განჯინის ნაზი კლიტეები ვერ გაალეს. მოთმინებიდან გამოსულმა ბოქაულმა თავისი ჯოხი პირდაპირ შუშებს დაუშინა და ერთიანად ჩაალეწია. მთელი იატაკი შუშის ნამტვრევებით დაიფარა...

— ჩქარა და ჩქარა!.. აი თქვენისთანა უშნოებსაც კი რა ვუთხრა! ციფრებსავითა ხართ დამუნჯებულნი!.. ახლა წამიკითხეთ სათითაოდ ამ აყროლებულ ნეხვის სათაურები.

ხუთმა თასმები ჩამოიხსნა და გასახვევი ტილოები ძირს გაშალა, მეექვსემ მწუხარე ხმით დაიწყო.

— ლარუსის ლექსიკონი!

— ლექსიკონი ლარუსისა?.. აჰა, დაიწყო, დაიწყო!.. პოლიციის გინებაა*); აალაგეთ!..

— ლიტრეს ლექსიკონი.

— ისიც აალაგეთ, აალაგეთ! ჯერ აიღეთ ყველა ლექსიკონები!.. შიგ აუარებელი საშიშო და წესიერების საწინააღმდეგო სიტყვებია... განადგურების მქადაგებელი და სადანაშაულო სიტყვებია. პალატას, მთავრობას, კასანიაკს, რუფიეს და სხვათა მოთმენა არ შეუძლიათ. წამოიღეთ, წამოიღეთ.

— „მსოფლიო გეოგრაფია“ ელიზე რეკლუსი...

ბოქაული ამის გაგონებაზე შეხტა ყურებ დაცქვეტილი, ათრთოლებული, ამ წუთას სწორედ რაღაც საჭმლის სუნ-აღებულ ძაღლსა ჰგვანდა.

— აი გაჩანავდა! მე კი არ ვიცოდი!.. ფრთხილად მოჰკიდეთ ხელი, ფრთხილად, არ იფეთქოს!**) ცალკე გადასდეთ!.. ფრთხილად-მეთქი!.. ახლავე ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში უნდა წავიღოთ გასასინჯად... ასაფეთქებელი პატრუქი ხომ არა აქვს?.. არა, რა ბედათ მოვუსწარით დროზე!..

მერე გამარჯვებულის კაცის სახით მომიბრუნდა:

— ახლაც იტყვით უარს?... ხომ დაგიჭირეთ!.. თქვენს საქმეს ბევრი ლაპარაკი და ხაზი არ უნდა!.. ყველაფერი აშკარაა...

სიცილის გუნებამ გადამიარა... კარგად გავიშინჯე მკლავები, ფეხები, შუბლი—ხომ არა მძინავს-მეთქი. ისე ვიყავ გარინდული, რომ წინააღმდეგის თქმისთვისაც არ მიფიქრნია.

### სამხრეთ-აფრიკის გენერლები და ინგლისის მეფე ედუარდ მე VII



დევეტი. დელარეი. ლ. ბოტა. ინგლისის მეფე ედუარდი. უელსის პრინცი. ლორდი კიტჩენერი. ლორდი რობერტსი.

*) პარიზის მაწანწალათა ენაზე ანუ არგოზე სახელი ცნობილ ლექსიკოგრაფის ლარუსისა (la rousse) ნიშნავს პოლიციას.

**) ცნობილი მეცნიერი და ლექსიოგრაფი ელიზე რეკლუ ანარქისტადაც არის ცნობილი.

მოხელე ისევ იძახდა:

— **მიბაძვა ქრისტესი.**

— წამოიღეთ, წამოიღეთ!.. ქრისტე ანარქისტი იყო... ერთ ავაზაკთა საზოგადოების წევრი იყო... ასეთის კაცის მიბაძვა—დანაშაულია, კანონის მიერ აღკრძალულია... აიღეთ, აიღეთ, საქმე კარგად მიდის!... აიღეთ, აიღეთ!...

— **შესავალი სოციალურ მეცნიერებისა.**

— მეცნიერებაო... და ისიც სოციალური!.. ორკეცი დანაშაულობაა!... აიღეთ!.. რომ შრომა უფრო გავიადვილოთ,—აიღეთ ყველა წიგნები, სადაც წააწყდეთ სიტყვებს: სოციალური... თავისუფლება... თანასწორობა... ძმობა... მაზირინის ბიბლიოტეკაშიაც წავალ, სენ-ჟენევიევისაშიაც...*) ყველგან წავალ... ისედაც საკმაოდა გვაქვს რიგიანი წიგნები...

უფრო და უფრო ცხარობდა და მდევურის ნაბიჯით ბოლთასა სცემდა ოთახში, უცებ ქანდაკების წინ გაჩერდა.

— ეს რაღა არის?—მრისხანედ მკითხა.

— ქანდაკება გახლავს.

— შიგნით ფუღუროა?

— დიახ, ფუღურო გახლავს...

— რაკი ფუღუროა ესეც აიღეთ... აიღეთ ყველა ქანდაკებანი... აიღეთ ყველაფერი, რაც კი ფუღუროა...



ქალი თუ ნივთი—ძნელი ასარჩევია.—სურათი სემირადსკისა

ფილოსოფია... ფსიხოლოგია... ევოლიუცია... რევოლიუცია... აიღეთ ყველა... და რადგან ეს სიტყვები ყველა წიგნებში შეხვდება კაცს, ყველა წიგნები აიღეთ, ყველა ერთად.... ასე უფრო ჩქარა მოვრჩებით....

— **ბიოლოგიის პრინციპნი...**

— ბიოლოგია!.. კიდევ?—დაიღრიალა ბოქაულმა. .— მინერალოგია, ტეტრალოგია, ანტროპოლოგია!... რა ვქნა, ხომ არ დაყრუვებულხართ? მე თქვენ გეუბნებით, ყველა წიგნები აიღეთ, ყველა!.. სპიელერისა და ჟოზეფ რეინახის ნაწერების გარდა....

როგორც იქმნა, გონი მოვიკრიფე. მიკვირდა, რომ მათის ბრიყვულის სიმხეცის შემყურეს გული არ მომდიოდა. ტკბილად მივუბრუნდი ბოქაულს და მოვახსენე:

— ბატონო, ნებას მომცემთ გასწავლოთ ერთი ადგილი, სადაც ჩემს წიგნებზე უფრო საშიშ წიგნებს იპოვით. თან, იმ წიგნების რიცხვი ჩემ წიგნებს რამდენჯერმე აღემატება.

— სად არის?

— ნაციონალურ ბიბლიოტეკას მოგახსენებთ!...

— წავალ!—დაიღრიალა ჩემმა მოკეთემ...—დიახ, წავალ... ერთ წამს დაფიქრდა. მერე გაჯავრებით ფეხები დააბარტყუნა იატაკზე...

— აიღეთ აგრეთვე რაც სავსეა.

სახლის გაჩხრეკამ ორს საათს გასტანა. რომ მორჩნენ, სახტად დავრჩი: ჩემი სახლი დაცალიერებულიყო... მეტი გზა არა მქონდა, სასტუმროში უნდა გადავსულიყავ.

საღამოს გაზეთებში, კეთილსა და ქვეყნის ერთგულ გაზეთებში, ეს სტრიქონები ამოვიკითხე:

„ამ დილას, ცნობილს ანარქისტს №-ს სახლი გაუჩხრიკეს... აღმოაჩინეს მეტად საშიში და ჯერ უცნობი ასაფეთქებელი წამლები, რომლებიც, პოლიციის თვალის ასახვევად, ქანდაკებათა მსგავსად იყო შეზავებული. ნაპოვნი საბუთები მეტად დიდმნიშვნელოვანია. მათის შემწეობით, დარწმუნებით შეიძლება სთქვას კაცმა, პოლიცია, საცაა საშინელს შეთქმულობას აღმოაჩენს. თვითონ № ჯერ თავისუფლადაა გაშვებული. ნეტავ რას უპირებენ ამ საშინელს კაცს, რომ არავის რა ავნოს? გამოცანაა!“

თ. ს.

*) ნაციონალურ ბიბლიოტეკის შემდეგ მაზარინისა და სენ-ჟენევიევის ბიბლიოტეკები უუდიდესი ბიბლიოტეკებია მთელს პარიზში.

# ნარევი

ფხიზელი თვალი. კუნძულ ცეილონზე ერთს ჩაის მომყვანზედ (პლანტატორზე), რომელსაც შუშის თვალი აქვს, ერთ სასაცილო ამბავს გვიამბობენ.

ერთხელ პლანტატორს სადღაც უნდოდა წასვლა, მაგრამ ეშინოდა, რომ რაკი ფეხს გადადგამდა, მუშები იმწამსვე თავს მიანებებდნენ სამუშაოს. რა ექნა!

უცბად ერთი აზრი დაებადა. დაუძახა ხალხს და უთხრა:

— საქმეების გამო მე სხვაგან უნდა წავიდე, და თვალის დასაჭერად, რომ კარგა იმუშავოთ, მე ვტოვებ ერთს ჩემს თვალს... ამასთან გამოიღო შუშის თვალი და ხეზე დასდო, რამაც საშინლად გააკვირვა მუშები. პირველად მუშები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მუშაობდნენ, რადგანაც ეგონათ, რომ თვალი ყველაფერს ხედავსო.

ბოლოს ერთს მუშათაგანს „დიდებული“ აზრი მოუვიდა: აიღო ქვაბი, რომელშიაც საჭმელს იკეთებენ, და თვალს დახურა. რაკი დაინახეს მუშებმა, თვალი აღარ გვიყურებს, მიანებეს მუშაობას თავი და მიწვნენ დასაძინებლად.

*
* *

უბედურება ქორწილის დროს. ეს უბედურება მომხდარა ჰუნგრეთში, სოფელ პაქეში. ჩხუბი მოსვლიათ ახლად ჯვარ-დაწერილ ნეფესა და დედოფლის მეჯვარეს. სწორედ ჯვრის დაწერის შემდეგ ნეფეს ეჭვი შეჰპარია მეჯვარეზედ. საქმე იქამდის მისულა, რომ ჩხუბი მოსვლიათ ნეფეს, მეჯვარეებს, მაყრიონს, ერთის სიტყვით, ყველას, ვინც-კი ამ ქორწილზე ყოფილა. ამ ჩხუბის დროს მოუკლავთ: ნეფე, მეჯვარე, დედოფლის მამა და დედოფლის ორი ძმა. 16 კაცი კიდევ დაუჭრიათ. ჩხუბს ისე უმოქმედნია დედოფალზე, რომ იქვე ჭკუაზე შეშლილა. ასე უბედურად გათავებულა ეს ქორწილი.

## პროვინციაში



დილას.



საღამოს.

## ქუთაისი



შეყვარებულთა მდგომარეობა „ველოსიპედებისტების“ გადამკიდე.


ყასბები. ხორცს ნიხრი დააკელით. ძვირია, ბატონო.

— არა, არა, როგორ შეიძლება, ხორცს ფასი რომ დავაკლოთ საქალაქო დუქნები იზარალებს...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 23 Августа 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).